

SOME LINGUISTIC ISSUES OF THE ARTAANI REGION ACCORDING TO
KONSTANTINE ODISHARIA'S TRAVEL DIARIES IN ARTAANI

არტაანის მხარის ზოგიერთი ენობრივი საკითხი კონსტანტინე ოდიშარიას
„არტაანში მოგზაურობის დღიურების“ მიხედვით

Elza Phutkaradze

PhD in Philology, Head of the Department of Folklore,
Dialectology and Emigrant Literature Research,
Chief Researcher at the Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Sh. Rustaveli st.N 32, 6010, Georgia
+995 593 18 01 96, phutkaradzeelza3@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

Abstract. The paper discusses the linguistic situation of the Ardahan region, nuances of linguistic etiquette, and issues related to toponyms and surnames based on the travel diaries of Konstantine Odisharia. Beyond linguistic matters, these diaries contain significant records from a source-study perspective. Odisharia traveled through this region between 1913 and 1918, documenting his observations in a diary titled "Notebook I: Ardahan Region (Historical-Geographical and Statistical Materials)." Although he published correspondences in the newspaper Sakartvelo in 1917, censorship frequently shortened or distorted his work. Consequently, the scientific value of these personal records is multifaceted, providing rich and interesting material for various branches of Kartvelology.

The diary offers detailed geographical descriptions of villages, statistical data on inhabitants, and specific accounts of churches, rural life, and legends, alongside explanations of toponyms. Given the scarcity of existing information regarding the Ardahan region, the significance of these travel diaries is invaluable. They serve as a substantial source for historical geography, history, ethnology, folklore, Rustvelology, toponymy, onomastics, sociology, and for viewing the region through a unified, complex lens.

The importance of the diary entries is immeasurable, as they provide the names of 331 villages in the Ardahan region—an ancestral land that, due to historical misfortunes, remains outside the borders of Georgia. Notably, at the time of his journey, the village names were still Georgian, whereas today, these names have largely faded even from memory. Furthermore, the diaries provide crucial onomastic information, including surnames and first names. Konstantine Odisharia's diaries regarding the linguistic issues of Ardahan introduce novelty to the field, as they have been minimally utilized in scientific circulation from a source-study perspective. This, in turn, enhances the relevance and importance of these records.

Keywords: Ardahan, travel diaries, language, dialectology, toponymy.

ელზა ფუტკარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა
 რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
 დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
 კვლევის განყოფილების უფროსი,
 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
 ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N 32, 6010, საქართველო
 +995 593 18 01 96, phutkaradzeelza3@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია არტაანის მხარის ენობრივი მდგომარეობის, ენობრივი ეტიკეტის რამდენიმე ნიუანსის, ტოპონიმებსა და გვარსახელებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კონსტანტინე ოდიშარას არტაანში მოგზაურობის დღიურების მიხედვით. დღიურები ენობრივი საკითხების გარდა, წყაროთმცოდნეობითი კუთხით მნიშვნელოვან ჩანაწერებს მოიცავს. კ.ოდიშარიამ ამ მხარეში 1913-1918 წლებში იმოგზაურა და დღიურების სახით აღწერა. დღიურს აწერია რვეული I. არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები). მართალია, ის კორექსოდენციებს ბეჭდავდა გაზეთ „საქართველოში“ 1917 წელს, მაგრამ ცენზურა უმოკლებდა, რიგ შემთხვევაში კიდევ უმახინჯებდა. შესაბამისად, ჩანაწერების მეცნიერული ღირებულება მრავალმხრივია, რადგან მისი დღიურები საინტერესო და მდიდარ მასალას იძლევა ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის მიმართულებით.

დღიურში გვაქვს დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა სოფლებისა, სტატისტიკური მონაცემები მცხოვრებთა შესახებ, კონკრეტულად აღწერს ტაძრებს, სოფლის ყოფას, თქმულებებს, იძლევა ტოპონიმთა შესახებ ცნობებსა და ახსნას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მწირი ცნობები გვაქვს არტაანის მხარის შესახებ, შესაბამისად, მისი მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა ფასდაუდებელია და ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, რუსთაველოლოგიის, ტოპონიმის, ონომასტიკის, სოციოლოგიის და საერთოდ, კუთხის ერთიან, კომპლექსურ ჭრილში დანახვის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი წყაროთმცოდნეობითი მასალაა.

განუზომლად დიდია დღიურის ჩანაწერების მნიშვნელობა იმ მიმართებით, რომ არტაანის მხარის 331 სოფლის დასახელებას გვაწვდის. იმ ძირძველი კუთხისას, რომელიც ისტორიული ბედუკულმართობის გამო, საქართველოს საზღვრებს მიღმაა დარჩენილი. ნიშანდობლივია ის, რომ მისი იქ მოგზაურობის დროისათვის ჯერ კიდევ სოფლების სახელწოდებანი ქართულია. და დღეს, იქ მეხსიერების დონეზეც წაშლილია სოფლის ქართული სახელები. ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დღიურების ჩანაწერები ონომასტიკის კუთხით. ვეცნობით ადამიანთა გვარებს, სახელებს. შესაბამისად, კონსტანტინე ოდიშარას დღიურები არტაანის მხარის ზოგიერთი ენობრივი საკითხის შესახებ, თავისთავად სიახლის მომცემია, რამეთუ წყაროთმცოდნეობითი კუთხით ნაკლებადაა გამოყენებული სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს, თავის მხრივ, ზრდის დღიურების მნიშვნელობის აქტუალობას.

საკვანძო სიტყვები: არტაანი; მოგზაურობის დღიურები; ენა; დიალექტოლოგია; ტოპონიმია.

შესავალი. როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველომ დაკარგა ძირძველი ტერიტორიები, ჭოროხისა და მტკვრის აუზის მხარეები. კერძოდ, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ლაზეთი, კოლა, არტაანი, ჩილდირი, სპერი, ერუშეთი, ფოცხოვი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, სხვა კუთხეებთან ერთად, არტაანის მხარე და ქალაქი არტაანი სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით შეუერთდა რუსეთს. 1918-1921 წლებში არტაანის მხარე იყო რუს და თურქ ჯარისკაცთა სამხარო ველი, რის გამოც ეს მხარე ძალიან განადგურდა. ყარსის საზავო ხელშეკრულებით, 1921 წლის 13 ოქტომბერს, არტაანის მხარე გადავიდა ოსმალთა მფლობელობაში. დღეს შედის თურქეთის რესპუბლიკაში, ყარსის გუბერნიაში.

აღნიშნული დაკარგული კუთხეების შესახებ ცნობებს ვხვდებით მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებში. ფასეულია ნ. მარის 1904 წლის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“. ასევე, გ. ყაზბეგი 1874 წ. იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ კუთხეებში-აჭარაში, შავშეთსა და ჭანეთში. ამ მოგზაურობის შედეგები ასახულია ნაშრომში- „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. საინტერესო ცნობებს გვაწვდის დ. ბაქრაძე, სხვა ქართველი თუ უცხოელი მოგზაურნი, მკვლევარნი. კონკრეტულად კი, არტაანის მხარის შესახებ განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს ექვთიმე თაყაიშვილის „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში“ 1902 წ. მან ამ ექსპედიციის დროს უშუალოდ ჩილდირისა და არდაგანის მხარის ძეგლები გამოიკვლია. მეორე ექსპედიცია მოეწყო 1907 წ. შეისწავლა კოლას და დაასრულა ოლთისის ძეგლების შესწავლა. 1917 წ. შედგა მესამე ექსპედიცია. ამ დროს კვლევის არეალს წარმოადგენდა თორთომის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ოთხთა, პარხლის, იშხნის, ოშკის, ხახულის ეკლესიები. ამ ექსპედიციათა საფუძველზე, მან ეკლესიათა აღწერილობა, არქეოლოგიური ჩანახაზები და ფოტომასალაც მოგვცა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ. ვთვლით, რომ სხვა მოგზაურთა (ნ. მარი, გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე...) ჩანაწერების დარად, კ. ოდიშარიას დღიურები განსაკუთრებული ღირებულების წყაროს წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, სოციოლოგიის, ფოლკლორის, ხელოვნებათმცოდნეობის და ენათმეცნიერული კუთხით. განსაკუთრებით კი, დღიურები არტაანის ოლქის მდგომარეობის კომპლექსურ ჭრილში დანახვის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი წყაროთმცოდნეობითი მასალაა. თუმცა სამეცნიერო მიმოქცევაში თითქმის არაა გამოყენებული და შესაბამისად, საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. ამ კუთხით საინტერესოა ფ. სიხარულიძის კვლევა - „მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციის ისტორიისათვის, კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები“. ავტორი, კონსტანტინე ოდიშარიას სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერების საფუძველზე, საუბრობს სამხარეთმცოდნეო ექსპედიციის ისტორიის შესახებ. ასევე, ერთხელ კიდევ მიუბრუნდება აღნიშნულ საკითხს და გვაცნობს კ. ოდიშარიას წერილებს ივანე ჯავახიშვილისადმი გაგზავნილს.

აღნიშნულ საკითხს ეხება შ. ფუტკარაძე სტატიაში - „კ. ოდიშარიას ცნობები ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ“. სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული არტაანის სულიერი და მატერიალური კულტურის შემორჩენილი ნაშთების შესახებ და ზოგად წარმოდგენას გვაძლევს არტაანზე.

ამავე საკითხის შესახებაა მსჯელობა წარმოდგენილი ე. ფუტკარაძის, შ. ფუტკარაძის, რ. მალაყმადის ერთობლივ კვლევაში - „კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა“. ნაშრომში საუბარია კ. ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობაზე, როგორც კომპლექსურ წყაროთმცოდნეობით მასალაზე. ბუნებრივია, აქაც ზოგადი სურათია წარმოდგენილი მხარის შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია მოგზაურობის დღიურების სხვადასხვა ასპექტით შესწავლა. აღნიშნული ჩანაწერების შესწავლა ქართველოლოგიის ცალკეული დარგების მიხედვით, მასალის

ანალიზი და განზოგადება უფრო სიღრმისეულ, კონკრეტულ და საფუძვლიან წარმოდგენას შეგვიქმნის არტაანის კუთხის შესახებ. ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული მასალების საფუძველზე არტაანის მხარის ზოგიერთი ენობრივი საკითხის კვლევა.

აქვე წარმოვადგენთ კ. ოდიშარას ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდს, რათა გასაგები იყოს, როგორ ახერხებს კ. ოდიშარა იმ პერიოდში არტაანის მხარეში მოგზაურობას. კონსტანტინე (კოტე) ოდიშარა მარტვილში დაიბადა, მაგრამ მისი მშობლები საცხოვრებლად ბათუმში გადმოსულან. ის ჯერ გაზეთების კორესპონდენტად მუშაობს. სწორედ ჟურნალისტური საქმიანობით დაუკავშირდა „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას“. კ. ოდიშარა ამ საზოგადოების წევრად იქნა არჩეული. საზოგადოებას საქართველოს რაიონებში თავიანთი განყოფილებები ჰქონდათ გახსნილი. ერთ-ერთი ასეთი იყო არტაანის სარაიონო განყოფილება. ის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული იყო არტაანის მხარეში. სწორედ ამ საზოგადოებისგან დაეკისრა დაეველო არტაანის და ჩილდირის საპოლიციო ნაწილში მდებარე სოფლები და შეეკრიბა ცნობები ბრძოლის დროს დაზარალებული იქ მცხოვრები ქართველების შესახებ. ამ მიზნით მიდის ამ მხარეში 1913-1918 წლებში. ამ საქმიანობის დროს მისი თვალთ ნანახი და განცდილი დაგვიტოვა მოგზაურობის დღიურების სახით. დღიურს აწერია - რვეული I. არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები). ის 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ კორესპონდენტებს ბეჭდავდა, თუმცა ცენზურა უმოკლებდა და ზოგჯერ უმახინჯებდა კიდევ. ამიტომ წერდა: „ ხელთ იქონიონ ჩემი ისტორიული მასალები, არა გაზეთში დაბეჭდილები, არამედ დედანი“-წერს ის დღიურის შესავალ ნაწილში (მალაყმაძე, ფუტყარაძე, & ფუტყარაძე, 2024, გვ. 365) . სწორედ ამ დედნით ვსარგებლობთ არტაანის მხარეში ენობრივი მდგომარეობის შესახებ საუბრისას.

მეთოდები. კვლევისას გამოვიყენეთ წყაროს დამუშავების, შეფასების, ანალიზის, განზოგადების მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. სამწუხარო რეალობაა ის, რომ მტკვრის აუზის რეგიონში და მათ შორის არტაანში ქართული ენა აღარ ისმის. კონსტანტინე ოდიშარას არტაანში მოგზაურობის დღიურები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ მხარეში ენობრივი სიტუაციის ზოგიერთი საკითხის კუთხით. მასალის მიხედვით, შესაძლებელია რამდენიმე ასპექტი გამოიკვეთოს. კერძოდ, საინტერესოა ენის ფუნქციონირებისა და ენობრივი ეტიკეტის საკითხი. ასევე, მასალა კონკრეტულად წარმოგვიდგენს არტაანის მხარის ტოპონიმებს, ანთროპონიმებს.

დღიურის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ 1913 -1918 წლებში კ. ოდიშარას მიერ დასახელებულ სოფელთა ძირითად ნაწილში ქართული ენა დაცულია. მართალია, მოსახლეობა არაერთგვაროვანია (მალაკნები, ბერძნები, ხემშილები...), მაგრამ ქართული ჯერ კიდევ საოჯახო ენის ფუნქციას ასრულებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეული სოფლის დასახელების, აღწერა-დახასიათებისას გვაწვდის ქართველ მაჰმადიანთა კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. აი, მაგ. სოფელი ოჯახი - 514 სული ქართველი მაჰმადიანი, დუღუნა - 1651, ურჩი - 331, ბერგია - 420, ვარდოსანი - 246, გუგუბა - 79, ჯვარის ხევი - 395, ნუნუსი - 352, წყაროსთავი - 437, მგლისციხე - 460, ფრუთა - 400, საბუღარი - 403, დადაგული -533, გიორგის უბანი - 380, ლამიანი -139 და ა.შ. მისივე ინფორმაციით 64157 ქართველი მაჰმადიანია, 55 - ქრისტიანი და აკონკრეტებს, რომ ქართული ენა იცინა. სოფლების ჩამოსახელება-ჩამოთვლის შემდეგ ერთგან წერს: „ამ ზემოთ აღნიშნულ 34 სოფელში ყველამ იცის ქართული ლაპარაკი“ (ოდიშარა, 2020, გვ. 148). ასე მაგალითად, სოფ. საკირე-ქართულს ყველა ლაპარაკობს (149 სული), სოფ. აღი - 473 სული, ყველა ქართველი მაჰმადიანი ქართულს ლაპარაკობს, ქვემო წყაროსთავი - 511 სული, მოხუცებულებმა თითქმის ყველამ იცის ქართული (ოდიშარა, 2020, გვ. 148). სოფ. გუგუბი, 79 კომლი - ყველამ იცის ქართული (ოდიშარა, 2020, გვ. 120).

წყაროსთავი - 437 სული, ზოგიერთი მოხუცი ქართულს კარგად ლაპარაკობს. ავტორის უსუფ - ბეგ შარვაშიძესთან დიალოგიდან ჩანს, რომ „ჩვენი მამა-პაპები სახლში ქართულად ლაპარაკობენ. ვკითხულობთ ქართულ წიგნებს“ (ოდიშარია, 2020, გვ. 112).

ფაქტიურად, კ.ოდიშარიას იქ მოგზაურობის დროს ქართული ენა დაცულია. ძირითადი ნაწილი ქართველი მაჰმადიანებისა ქართულად მეტყველებს. ზოგიერთ სოფელში მხოლოდ მოხუცებულებმა იციან ქართული. აქვე ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს. ერთია, რომ იციან ქართული და მეორე, როგორი ქართულით ლაპარაკობენ. ავტორი ოთარ-ბეგ შარვაშიძის მისამართით გვეუბნება, რომ იგი ქართულად წმინდად ლაპარაკობს, უფრო „ვეფხისტყაოსნის“ კილოზე. პოემა ზეპირად იცის ბოლომდე. კ.ოდიშარია იმასაც მიანიშნებს, რომ მათ მეტყველებაში -ყე ნაწილაკი აქტიურად გამოიყენება. ზოგიერთ ამონარიდს დავიმოწმებ: სოფ. ქვემო თიკნები - 522 ქართველი მაჰმადიანი, მოხუცებულების მეტმა ნაწილმა ქართული ლაპარაკი კარგად იცის, ოღონდ ყოველ სიტყვას -ყე - თი აბოლოვებენ (ოდიშარია, 2020, გვ. 115). ველისციხე - 4651 ქართველი მაჰმადიანი. ბევრი ქართულად ლაპარაკობს, -ყე-ს დაბოლოებით (ოდიშარია, 2020, გვ. 117).

ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო მინიშნებაა არტაანელთა მეტყველებაში -ყე ნაწილაკის გამოყენებასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, -ყე არტაანის მხარის მეტყველებაში იმავე ფუნქციით გამოიყენებოდა, რაც ზოგადად დიალექტთა გარკვეული ნაწილისათვისაა დამახასიათებელი. ასევე საინტერესოა ერთი ქართველის საუბარი. კერძოდ, ქართველი მაჰმადიანი დიალოგისას ამბობს: გვშიან. ეს მონაცემი ბევრი არაა, მაგრამ თუნდაც ეს ორი გრამატიკული ფორმა უმცირეს წარმოდგენას გვიქმნის იქ არსებული დიალექტური მეტყველების შესახებ.

წარმოდგენილი მასალით ჩანს, რომ 1913-1918 წლებში არტაანის მხარის სოფლის მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი ქართულად საუბრობს, ქართული საოჯახო ენის ფუნქციას ასრულებს. რამ გამოიწვია ის რეალური შედეგი, რაც დღეს სახეზეა არტაანის მხარეში. იქ ქართული ენის არსებობის კვალიც რომ არაა შემორჩენილი?! მიზეზი კომპლექსურია, რასაც აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვერ განვიხილავთ.

მოგზაურობის დღიურებით ენობრივი ეტიკეტის რამდენიმე ნიუანსი იკვეთება. „თუ ენობრივ ეტიკეტს ვიწრო გაგებით განვიხილავთ, მასში ერთიანდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ მისალმების, მოწოდების/მიმართვის, თხოვნის, მობოდიშების, მადლობის გადახდის, თანაგრძნობის გამოხატვის დროს (გოჩიტაშვილი, & გაბუნია, 2011, გვ. 2). ენობრივ ეტიკეტში კარგად ჩანს მათი შეხედულებანი, ურთიერთობის, თავის დაჭერისა და თავაზიანი მიმართვის ის წესები, რაც მიღებული იყო მათ ყოფაში და ეს აირეკლა მოგზაურის დღიურებშიც.

ენობრივი ეტიკეტის კუთხით საინტერესოა იქაური მისალმების ფორმები. ნებისმიერ სოფელში შესვლისას კ. ოდიშარიას მიმართავენ ეფენდი ფორმით, ახალგაზრდაცა და ხანდაზმულიც. ეფენდი კი მათი გაგებით განათლებულს ნიშნავს. აქვე გვხვდება მისალმების ძალიან სახასიათო, დალოცვის შინაარსის შემცველი ფორმებიც. მისალმებაზე ასე უპასუხებს უსუფ-ბეგ შარვაშიძე: „ღმერთმა მოგცეს, ეფენდი, გამარჯობა და ხანგრძლივი სიცოცხლე“ (ოდიშარია, 2020, გვ. 112), ან კიდევ: „ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო“, „მადლობა ღმერთს, ჩემი ბატონი ბრძანდები“ (ოდიშარია, 2020, გვ. 195).

მოკითხვის ფორმებში, გარდა მოკითხვისა, სხვა შინაარსიც ჩანს, კერძოდ, განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება ქართველებისადმი და თხოვნა: „გთხოვთ, გთხოვთ, ხშირად გვინახულებთ. ჩვენს ძმებს გულითადი სალამი და სიყვარული; „ მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა უფროსმა ძმებმა-ქართველმა ქრისტიანებმა გაიხსენეს თავიანთ დაკარგულ სამშობლოში მცხოვრები უმცროსი ძმები-ქართველი მაჰმადიანები. კარგია, განათლებულო, რომ მოგვინახულებთ“; „ხშირად გვინახულებთ ხოლმე“, „ჩვენ მოხარული ვართ ჩვენი ძმების სტუმრობით“, „ეფენდი, მოკითხვა გადაეცით ჩვენს ძმებს“ (ოდიშარია, 2020, გვ. 113-114).

ასევე საინტერესოა სტუმრის მიღება-გამასპინძლების ფორმა: „დაბრძანდით“, „მიიღეთ ჩვენი პურ-მარილი“ (ოდიშარია, 2020, გვ. 125). „გთხოვთ, გთხოვთ, კოტე ეფენდი“ (ოდიშარია, 2020, გვ. 114).

ერთგან გაჯავრების გამომხატველი ფორმით ასე მიმართავენ კ. ოდიშარიას: „ეფენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით რომ ეს მე პაპის პაპისაგან მაქვს გადმოცემული, როგორც უფროს შვილს და მეც ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც მამა-პაპეული განძი და არ მაქვს უფლება, გავყიდო, გავასაჩუქრო, ანუ გავათხოვო; მოპარვითაც კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგან ყველამ იცის, რომ წყევლა-კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განზრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს“ (ოდიშარია, 2020, გვ. 113). გაჯავრების მიზეზი ისაა, რომ სწორედ აქ, არტაანის ოლქში, სოფ. ორეიში (ორი ასული) ნახა „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი, მასზე ქორონიკონი ჩულვ -1436 წელი აწერია. კ. ოდიშარია ოთარ-ბეგს პირდაპირ ეუბნება, რამდენად ძვირფასი განძია „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი ქართველი ერისათვის. თხოვს ამ განძს საქართველოსათვის, მოგვყიდე მუზეუმისათვისო, რის გამოც გაჯავრდა ბეგი.

ენობრივი ეტიკეტის განხილული ნიუანსები ნათლად აჩვენებს, რომ ისტორიული ავბედობის მიუხედავად, არტაანის მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართულ წეს-ჩვეულებათა ნიშანდობლივი მხარე.

მოგზაურობის დღიურები განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ტოპონიმების შესახებ. ფასდაუდებელია ის, რომ კ. ოდიშარიამ დღიურების ჩანაწერებით 331 სოფლის (და მათგან მცირეა ნასოფლარი) სახელწოდება შემოგვინახა. ეს არის უნიკალური მასალა ჩვენი ძირძველი კუთხის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, ადმინისტრაციული საზღვრები იცვლება და აქვე დავძენ, რომ ეს აღწერა მხოლოდ არტაანის რაიონს კი არა, მოიცავს ჩილდირის, კოლას, ფოცხოვის მხარეებსაც. ეს ჩანს კ. ოდიშარიას მიერ ივ. ჯავახიშვილისადმი გაგზავნილი წერილითაც: „ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! დიდი ხანია მსურდა თქვენდამი ჩემი პატივისცემა რითიმე აღმენიშნა, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი. დღეს გადაწყვიტე გიძღვნათ მცირედი რამ, სახელდობრ, ჩემი მოგზაურობის აღწერა 1913-1918 წლებში ჩვენი სამშობლოს გულიდან მოწყვეტილ სამუსლიმანო საქართველოსი.

ბევრი გაჭირვება განვიცადე ამ მოგზაურობის დროს, მაგრამ ჩემი ნატვრა და მისწრაფებანი ნახევრად მაინც მოვიყვანე სისრულეში. თუნდაც იმ მხრივ, რომ გაკვრით მაინც აღწერე, შიდა ოსმალეთის საქართველო, სახელდობრ: ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, თორთუმის ოლქები და მთელი ვილაიეთი ერზრუმისა და იქით სოფელ-ქალაქები, ნაქალაქევ-ნასოფლარში ეკლესიები, ციხეები, გვირაბები. განსაკუთრებით აღწერე: 331 სოფელ-ქალაქი, ნასოფლარ-ნაქალაქარი, რაც არტაანის ოლქს შემორჩა. 1937 წ. 4. X. (სიხარულიძე, 1999, გვ. 211-212).

როგორც აღვნიშნეთ, მან ენათმეცნიერებას, ონომასტიკას შემოუნახა 331 სოფლის სახელი, მიკრო და მაკროტოპონიმები: დუდუნა, თამამი, ურჩი, ვარდოსანი, ქობალა, ჩიხირეთი, ყვირილა, ჩალური, ფიქრობი, ზემო და ქვემო თიკნები, ველისციხე, გუგუბა, ბერგია, ჯვარისხევი, ნუნუსი, კართანა ხევი, წყაროსთავი, ფრუთია, ურთა, მერემდისი, ფიქრაშენი, ჭალა, კაკაბეთი, ჩადუნა, ჭოლოთი, ვაშლობი, ჩაბურდა, ხამუში, ხატუნია, სალორეთი, ვარდბანდი, საბადური, კოდისწყარო, საზარი, საფიცხარი, პატარა სარძევე, საბუღარი, ჭინჭრობი, დიდი ჭინჭრობი, ბებერი, კუნძულეთი, ჭანჭახი, დიდი სარძევე, წერეთელუბანი, დადაგული, მანდოთხი, ტბეთი, სოფ. რევაზი, ფეთობანი, გიორგის უბანი, ლამიანი, შუაწყალა, ხერთვისი, სტეფანწმინდა, ჯმაჯუნია, ჭაბური, კოდისწყარო, ჩოჩრევანი, სათიბი, კობალა, ბანარხევი, ვარძინა, მარცვალეთი, ზედაწმინდა, ყველია, საიხვე, ვაშლია, წურწყაბი, ხევათი, თამარი, ღვრია, მერე, სამხლია, ალი, არილი, სატყეხელი, ხევისკარი, გუმბათი, კიალპი, კეხი, იორამი, ლარისხევისკარი, ყორევანი, ჯოჯორი, პეტრე-პავლე (ნასოფლარი), მირიანი (ნასოფლარი), სამოთხე (ნასოფლარი) და ა.შ.

ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი სოფლის სახელწოდება თურქულია ან კომპოზიტიური წარმოების ტოპონიმის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულია. მაგ.: ბაშქოი, იენიქოი, ტაშბაში, დემურკაფი, ყურტყალა, ორყიზი, დეგირმანქოი, ყიზილქილისა, უჩქილისა, ყიზილვერი, ყარაყალა...

საყურადღებოა ის, რომ კ. ოდიშარია ზოგიერთ ტოპონიმთან დაკავშირებულ ხალხურ ეტიმოლოგიას, თქმულება-გადმოცემას გვაწვდის. ეს ერთი მხრივ, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მცდელობა ტოპონიმის მეცნიერულ ახსნასთან დაკავშირებით. მაგალითისათვის ზოგიერთ მისეულ ახსნას დავიმოწმებ: ჩაღური-მეგრულია და ნიშნავს ჩაკვდი, ბერგია (მეგრ.)- თოხი, კონქი, ქართულია და ნიშნავს კამარა, ფრუთა- ქართულია, ნისლიან წვიმას ნიშნავს, ჩადუნა-გვიმრის ყვავილი, ხამუში-ამუში ქართულია, ნიშნავს მუშაკთა მხნედ მუშაობას, შადრევანი, ქართულია, წყლის მაღლა ასროლა, ლამიანი-ნესტის გამო ჰქვია, ზეინდალი, ქართულია-აბჯრის ჯაჭვის თვალი, ხუნაგოსი, ქართულია, სასის გასიება, არილი-დასასვენებელი წმინდა ადგილი, ხერთეოზი-ე.ი. ხერთვისი, ძველი ქართულია და ნიშნავს ჭალაკს, ოჩხი -თევზის საბუნაგოს, ჩული-ქართულია, ცხენზე მოსახურავი, სალუქი- ქართულია, შემკობის მოყვარე... კვლევის ამ ეტაპისათვის, ტოპონიმებთან დაკავშირებული კ.ოდიშარიასეული ახსნა წარმოვადგინეთ ჩვენეული შეფასების გარეშე, რათა მთავარი მიზანია დღიურის ჩანაწერების მნიშვნელობის ხაზგასმა.

ავტორი მისეული ახსნით 331 სოფლის სახელწოდებას გვაწვდის. ეს ჩვენი სულიერი კულტურის, ისტორიული მეხსიერების უძვირფასესი შენაძენია, მითუმეტეს, როცა იქ ქართული არ ისმის. არტაანის მხარის ახლანდელი რეალური სურათი საგანგაშოა. 2018 წელს გამოიცა ავტორთა: თ. ფუტყარაძე, შ. მამულაძე, კ. ქამადაძე, ე. მაკარაძე, თ. ავალიანი, ე. კახიძე, მ. ფუტყარაძე, ნ. შოშიტაშვილი, ნ. ოქროსცვარიძე, ც. ქათამაძე, ქ. ფუტყარაძე ნაშრომი-„არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“. მათ მიერ ჩატარებული საექსპედიციო საქმიანობითა და შესაბამისი კვლევით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „დღეის მდგომარეობით ენობრივი მასალა აქ თითქმის მთლიანად წაშლილია“ (ფუტყარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტყარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტყარაძე, 2018, გვ. 130). ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს არქივებშიც. ჯერ კიდევ ს. ჯიქია „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“ მკვლევარი და მთარგმნელი მიუთითებდა, რომ „ტაო-არტაანის შესახებ საქართველოს არქივებში მასალები თითქმის არ მოგვეპოვება“. არტაანისა და ოლთისის ოლქების შესახებ მასალები არაა არც 1878 წ. მომდევნო ხანებისათვის, როცა ეს ადგილები დროებით დაგვიბრუნდა. ამიტომაცაა, რომ გურჯისტანის ვილაეთის დავთარში ტოპონიმთა დასახელება ძალიან მოკლედაა წარმოდგენილი (გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, 1958, გვ. 505).

1595 წ. გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში რვა ადმინისტრაციული ერთეული-ლივიაა. ერთია დიდი არტაანი, რომელიც სამი ნაჰიესგან შედგება: მზვარის, ჩილდირისა და ტყის ნაჰიები. 150-მდე გეოგრაფიული სახელია (ფუტყარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტყარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტყარაძე, 2018, გვ. 131). „არტაანთა მეხსიერებაში, თუ არ ჩავთვლით ფოცხოვს, ქართული ტოპონიმების კვალი პრაქტიკულად წაშლილია. თითზე ჩამოსათვლელია ქართული წარმოშობის ტოპონიმები, რომლებიც ახსოვთ: ჭინჭრობი, დუბიხევი, თოროსხევი (ფუტყარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტყარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტყარაძე, 2018, გვ. 128).

ფოცხოვში უკეთაა შემორჩენილი სახელები: ხევიჭალა, ხევეთი, გორიძირი, ჭანჭახი, ღორღელე, ჭუნთელი, ნაბახტევი, ორთამელე, სათლე, ლამიანი, შურღაული, გიორგიწმინდა, გიორგისუბანი (ფუტყარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტყარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტყარაძე, 2018, გვ. 130).

მონოგრაფიაში გურჯისტანის ვილაეთის დავთრების მიხედვით წარმოდგენილია ტოპონიმური სურათი ცხრილის სახით. კერძოდ, დღევანდელი სახელწოდება, ისტორიული ტოპონიმი და სადაა დაფიქსირებული (ძირითადად, რუკისა და დავთრების მიხედვით). რამდენიმესთან გარკვეულია ისტორიული სახელწოდება. ძირითადად კი ისტორიული ტოპონიმის სვეტში დღევანდელი ტოპონიმის შესაბამისობის გასწვრივ წერია-ჯერჯერობით უცნობია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ კ. ოდიშარიას მოგზაურობის დღიურის ჩანაწერები, მის მიერ დასახელებული ტოპონიმები მნიშვნელოვანი გზამკვლევაა და იძლევა ისტორიული არტაანის სოფლების სახელწოდებათა აღდგენის შესაძლებლობას. ავტორი კონკრეტულად აღწერს სოფლის ადგილმდებარეობას, გზებს. მაგ. მტკვრის გასწვრივ 10-12 ვერსის მანძილზე თეთრი ციხისკენ მიდიხარ... ვარდციხე არტაანიდან 12 ვერსით არის მოშორებული. თითოეული სოფლის შესახებ გვაწვდის ანალოგიურ აღწერას. ვფიქრობთ, ის სანდო მასალაა და შესაბამისად, დღიურის ჩანაწერები ანგარიშგასაწევ წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ ისტორიული გეოგრაფიული ნომენკლატურის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ კ. ოდიშარიას მონაცემებით. ეს კიდევ უფრო ზრდის დღიურის ჩანაწერების მეცნიერულ და ეროვნულ ღირებულებას. ისიც ცნობილია, რომ დაპყრობილი ტერიტორიების ონომასტიკური სურათის ხელოვნური შეცვლა იმთავითვე ხორციელდებოდა. იქ ტოპონიმთა ნაციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქემალისტურ და შემდგომ პერიოდში (ფუტკარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტკარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტკარაძე, 2018, გვ. 134). უფრო მეტი, 1949 წ. ტოპონიმთა გადარქმევის საკითხი შეტანილ იქნა რეგიონალურ ადმინისტრაციულ კანონში. 1957 წ. სახელთა გადარქმევის სპეციალური ორგანოც კი შეიქმნა (ფუტკარაძე, მამულაძე, ქამადაძე, მაკარაძე, ავალიანი, კახიძე, ფუტკარაძე, შოშიტაშვილი, ოქროსცვარიძე, ქათამაძე, & ფუტკარაძე, 2018, გვ. 134). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ ოდიშარიას მონაცემები დაკარგული ისტორიული მეხსიერების გაცოცხლებაა. ეს კი კულტურათა თუ ფსევდოკულტურათა დიალოგის დროს, მნიშვნელოვანი წყაროა და ამიტომაც უდიდესია ჩანაწერების მეცნიერულ-ეროვნული ღირებულება.

კ. ოდიშარიას ჩანაწერებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება გვარსახელების შესახებაც. იქაურებს ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი ძველი გვარები: შარიფოღლი(სალირიძე), შარვაშიძე, დუდუჩავა, ქავთარაძე, ირემაძე, გულიაშვილი, წიქარიძე, წითლანაძე, ბერიძე, ორბელიანი, თარხნიშვილი(გლებებია), თარხან-მოურავი(ბეგი), ხიმშიაშვილი, სალირიძე, სულხან-მოურავი, სულხანიშვილი, ხარიშარაშვილი, მიქელაძე, ჩხეიძე, ფაღავა, ფალავანდიშვილი, (საფაროღლი), ომაროღლი-ელიკაძე, შირინოღლი-კოხტაშვილი, ჯომხუნოღლი, რეშიდოღლი, კადროღლი-წითლანაძე, ხახალიშვილი, დადაოღლი(დადაშვილი), ნაკაშიძე, მოლლაისმაილოღლი, გაჯიემინოღლი, გუსეინოღლი, გაჯიასლანოღლი, ისკანდეროღლი, ალიოღლი, იბრაგიმოღლი, ალლახსულეიმანოღლი, თახიოღლი, ყადროღლი.

მოგზაურობის დღიურებში დასახელებულია საკუთარი სახელები, რომლებიც ძირითადად ოსმალურია: უსუფი, შარიფ, იბრაჰიმ, ჰაჯი-ალა, მამედ-ალა, მახმუდა, რაჯიბ, ბინალი, ოსმანი, ბალა, გასან, სულეიმანი, ისა, აბდულა, ქიამილი, ისკენდერი, სპორადულად გვხვდება ქართული სახელები: ნაზი, გულნარი, ოთარი, თეიმურაზი, თემური.

დასკვნები. ამგვარად, კ. ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურები მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის მხარის ზოგიერთი ენობრივი საკითხის შესახებ და განსაკუთრებული მასალაა ონომასტიკის კუთხით. ამასთანავე, მოგზაურობის ჩანაწერები ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ უნიკალურ მასალას გვაწვდის. შესაბამისად, არტაანის მხარის შესახებ კომპლექსური კვლევის საშუალებას იძლევა. ეს

ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებას. აუცილებელია, აღნიშნული ჩანაწერების სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიური შემოტანა. ასევე, ქართველოლოგიური საკითხებით დაინტერესებულთათვის ერთგვარი დოკუმენტური მასალაცაა.

გამოყენებული ლიტერატურა

- გოჩიტაშვილი, ქ., & გაბუნია, ვ. (2011). ენობრივი ეტიკეტი და მეორე ენის სწავლება. *ბილინგვური განათლება*. 2, 2.
- გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. (1958). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მალაყმაძე, რ., ფუტკარაძე, შ., & ფუტკარაძე, ე. (2024). *წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან*. III. ბათუმი: "სამშობლო".
- ოდიშარია, ვ. (2020). არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები), რვეული I. კრებულში: მალაყმაძე, რ., ფუტკარაძე, შ., ფუტკარაძე, ე., & ფუტკარაძე, შ., *წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან*. II. გვ. 110-167. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სიხარულიძე, ფ. (1999). წერილები ივ. ჯავახიშვილისადმი. *მესხეთი*. III. 211-212.
- ფუტკარაძე, თ., მამულაძე, შ., ქამადაძე, ვ., მაკარაძე, ე., ავალიანი, თ., კახიძე, ე., ფუტკარაძე, მ., შოშიტაშვილი, ნ., ოქროსცვარიძე, ნ., ქათამაძე, ც., & ფუტკარაძე, ქ. (2018). *არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო, საკულტო, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები)*. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი".

REFERENCES

- gochit'ashvili, k., & gabunia, k'. (2011). enobrivi et'ik'et'i da meore enis sts'avleba [Language Ediguette and Second Language Teaching]. *bilinvgvuri ganatleba [Bilingual Education]*. 2, 2.
- gurjist'anis vilaetis didi davtari [The Great Book of the Province of Gurjistan]. (1958). Tbilisi: Tbilisi State University Press.
- malaqmadze, r., put'k'aradze, sh., & put'k'aradze, e. (2024). *ts'erilebi st'ambolis kartuli savanidan [Letters From the Georgian Sanctuary in Intanbul]*. III. Batumi: "Samshoblo".
- odisharia, k'. (2020). art'aanis mkhare (ist'oriul-geograpiuli da st'at'ist'ik'uri masalebi), rveuli I [Ardahan Region (Historical-Geographical amd Statistical Materials), Notebook I]. In malaqmadze, r., put'k'aradze, sh., put'k'aradze, e., & put'k'aradze, sh., *ts'erilebi st'ambolis kartuli savanidan [Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul]*. II. pp. 110-167. Batumi: Batumi Shota Rustaveli State University.
- sikharulidze, p. (1999). ts'erilebi iv. javakhishvilisadmi [Letters to Ivane Javakhishvili]. *meskheti [Meskheti]*. III. 211-212.
- put'k'aradze, t., mamuladze, sh., kamadadze, k', mak'aradze, e., avaliani, t., k'akhidze, e., put'k'aradze, m., shoshit'ashvili, n., okrostsvavidze, n., katamadze, ts., & put'k'aradze, k. (2018). *art'aanis kartuli k'ult'uruli memk'vidreobis dzeglebi (saport'ipik'atsio, sak'ult'o, sak'omunik'atsio da saqopatskhovrebo arkit'ekt'uris nimushebi) [Georgian cultural heritage monuments of Artaani (samples of fortification, cultural, communication and household architecture)]*. Tbilisi: Publishing House "Universali".